**ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში „ხელშეკრულება“) 8.5 პუნქტის შესაბამისად, სს „თიბისი ბანკი“ გთავაზობთ ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:**

**<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1.1 და 10.1.2 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>**

„10.1.1 ავტომატური გადარიცხვებით/გადახდებით მომსახურება გულისხმობს წინამდებარე ხელშეკრულების 10.2.1; 10.2.2 ქვეპუნქტ(ებ)ში მითითებული კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან ბანკის მიერ თანხების გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადარიცხვების/გადახდების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ფიქსირებული თანხის ან კლიენტის კრედიტორის მიერ კლიენტის დავალიანების შესახებ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.
10.1.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადარიცხვების/გადახდების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ (ფორმირებულ) და კლიენტის მიერ დადასტურებულ ელექტრონულ საგადახდო საბუთს აქვს ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა.“

**<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.4.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>**

„10.4.1 უზრუნველყოს კლიენტი ავტომატური გადარიცხვებით/გადახდებით, წინამდებარე ხელშეკრულების, ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი განაცხადისა და ბანკის მიერ გავრცელებულ საინფორმაციო მასალაში მოცემული პირობების დაცვით.“

**<u>შეიცვალოს ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.5.1 და 10.5.2 ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:</u>**

„10.5.1 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე არასაკმარისი თანხის (დავალიანების სრულად დაფარვისთვის არასაკმარისი თანხის) არსებობისას. ავტომატური გადახდა/გადარიცხვა შესრულდება გადასახდელი თანხის სრული ოდენობით ანგარიშზე (ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციასთან დაკავშირებულ შესაბამის განაცხადში დაფიქსირებული ანგარიში) არსებობის შემთხვევაში.
10.5.2 არ განახორციელოს ავტომატური გადარიცხვა (ანგარიშსწორება) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ბანკის წინაშე დავალიანების არსებობისას. ავტომატური გადახდა/გადარიცხვა არ განხორციელდება თუ ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციასთან დაკავშირებულ შესაბამის განაცხადში მითითებულ ანგარიშზე რეგისტრირებულია ყადაღა ან სხვა ისეთი აკრძალვა, რაც შეუძლებელს ხდის ანგარიშიდან თანხის გადარიცხვას.”

**<u>ხელშეკრულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 10.6-10.11 პუნქტები:</u>**

„10.6. ავტომატური გადახდა/გადარიცხვა შესრულდება თუ დავალიანება არ აღემატება ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციასთან დაკავშირებულ შესაბამის განაცხადში დაფიქსირებულ დავალიანების მაქსიმალურ ლიმიტს. იმ შემთხვევაში თუ დავალიანება აღემატება დავალიანების მაქსიმალურ ლიმიტს, გადახდა არ შესრულდება.

10.7. იმ შემთხვევაში თუ ავტომატური გადახდისთვის საჭირო თანხა კლიენტის ანგარიშზე შეტანილი იქნება სერვისის პროვაიდერი კომპანიის მიერ დადგენილი დავალიანების გადახდის ბოლო დღეს და შედეგად გადახდილი თანხა აისახება სერვისის პროვაიდერი კომპანიის ბაზაში გვიან, ამ შემთხვევაში ბანკი არ არის პასუხისმგებელი სერვისის პროვაიდერი კომპანიის მიერ კლიენტისთვის დაკისრებულ სანქციებზე.

10.8. თუ ავტომატური გადახდებით მომსახურების მოქმედების ვადის განმავლობაში, დავალიანება გადახდილი იქნება სხვა არხით (წინამდებარე ხელშეკრულებით ან ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი განაცხადით გათვალისწინებულისგან განსხვავებული საშუალებით), მათ შორის უშუალოდ სერვისის პროვაიდერ კომპანიაში და დავალიანების გადახდის შესახებ ინფორმაცია დროულად არ იქნება ასახული სერვისის პროვაიდერ კომპანიაში, ბანკი სერვისის პროვაიდერი კომპანიის შესაბამისი ბაზიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მაინც შეასრულებს დავალიანების ავტომატურ გადახდას და ამ შემთხვევაში ბანკი არ არის/არ იქნება პასუხისმგებელი ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნებაზე.

10.9. ბანკს უფლება აქვს გააუქმოს/შეწყვიტოს ავტომატური გადახდებით/გადარიცხვით მომსახურება, თუ კლიენტის მიზეზით (მაგალითად, ანგარიშზე საკმარისი თანხის არარსებობა), ავტომატური გადახდების მოქმედების ვადაში, ავტომატური გადახდა ვერ შესრულდება უწყვეტად, ზედიზედ 90 კალენდარული დღის განმავლობაში.

10.10. ბანკს უფლება აქვს, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე, გააუქმოს/შეწყვიტოს ავტომატური გადახდებით/გადარიცხვით მომსახურება, იმ შემთხვევაში თუ სერვისის პროვაიდერ კომპანიასა და კლიენტს შორის არსებული მომსახურება შეწყდება/გაუქმდება და ბანკს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიღებული ექნება კლიენტისგან ან/და სერვისის პროვაიდერი კომპანიისგან.

10.11. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ბანკს განუცხადოს უარი (ბანკის ფილიალის, სატელეფონო სერვისცენტრის და/ან ინტერნეტბანკის საშუალებით) ავტომატური გადახდებით/გადარიცხვით მომსახურების მიღებაზე და გააუქმოს ბანკისთვის ავტომატური გადარიცხვების სერვისზე რეგისტრაციასთან დაკავშირებული შესაბამისი განაცხადის საფუძველზე მიცემული დავალება.“